

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართში N20 – Digipass-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

1. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N20 – Digipass-ის პირობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N20 – Digipass**

1. **Digipass-ის მომსახურების ფარგლებში, Digipass-ის მოწყობილობის გამოყენებით, კლიენტს შესაძლებელია მიეწოდოს ერთჯერადი კოდები, რომელიც შეიძლება კლიენტმა გამოიყენოს ბანკისგან სხვადასხვა საბანკო მომსახურებების მიღების პროცესში.**
2. **ბანკი კლიენტს სთავაზობს ორი სახის Digipass-ის მოწყობილობას: მატერიალური ფორმის მოწყობილობას და პროგრამულ მოწყობილობას - მობილური აპლიკაციის სახით. კლიენტს საშუალება არ აქვს ერთდროულად ისარგებლოს ორივე სახის Digipass-ის მოწყობილობით.**
3. **Digipass-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობა კლიენტს გადაეცემა სერვის-ცენტრში, ხოლო Digipass-ის პროგრამული მოწყობილობის - მობილური აპლიკაციის გააქტიურება, კლიენტს შეუძლია შესაბამისი აპლიკაციის მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთვით.**
4. **ერთი კლიენტი შესაძლებელია ფლობდეს Digipass-ის მატერიალური ფორმის რამდენიმე მოწყობილობას, თუმცა Digipass-ის მატერიალური ფორმის ერთი მოწყობილობა შესაძლებელია გადაეცეს მხოლოდ ერთ კლიენტს.**
5. **ერთ მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთული Digipass-ის მობილურ აპლიკაციას ნებისმიერ დროს შეიძლება დაუკავშირდეს სხვა კლიენტის რეკვიზიტები, თუმცა Digipass-ის მობილური აპლიკაციისთვის აქტიური იქნება მხოლოდ ბოლოს დაკავშირებული კლიენტი და შესაბამისად, Digipass-ის მობილური აპლიკაციის, გამოყენებას შეძლებს მხოლოდ მასთან ბოლოს დაკავშირებული კლიენტი.**
6. **Digipass-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს, მათ შორის ინტერნეტ ბანკის საშუალებით Digipass -ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დასაბლოკად.**
7. **Digipass-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის ნებისმიერი ფორმით დაზიანების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს Digipass, ხოლო Digipass-ით სარგებლობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიძინოს ახალი Digipass.**
8. **Digipass-ის მობილური აპლიკაციის გასააქტიურებლად სავალდებულოა ერთჯერადი კოდის შეყვანა Digipass-ის მობილური აპლიკაციაში.**
9. **Digipass-ის მობილური აპლიკაციით სარგებლობა კლიენტს შეუძლია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე).**

10. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დეაქტივაციას, რომლის ხელახლა აქტივაცია, შესაძლებელია თუ: ა) **კლიენტი** ადგილზე ფიზიკურად წარადგენს **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობას **სერვის-ცენტრში** და ბ) შესრულდება **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის დეაქტივაცია.
11. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის დასაბლოკად **კლიენტმა** შესაძლებელია მიმართოს ნებისმიერ **სერვის-ცენტრს**.
12. მობილური ტელეფონის შეცვლისას, გასხვისებისას ან სხვაგვარად მისი მფლობელობიდან გასვლის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია მობილური ტელეფონიდან წაშალოს **Digipass**-ის პროგრამული მოწყობილობა (მობილური აპლიკაცია).
13. **Digipass**-ის (მობილური აპლიკაციის მობილური ტელეფონიდან წაშლისა და ახლიდან გადმოწერის შემთხვევაში, **კლიენტმა** ხელახლა უნდა შეასრულოს **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის აქტივაცია, **ბანკის** მიერ დადგენილი წესებით.